პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 9 სექტემბერი 1978 წ. № 212 (17256) ფასი 2 კაპ.

„სოიუზ-31“ ხომალდის ხელახალი შეპირაპირება განხორციელდა

ფრუნზის მართვის ცენტრი, 7 სექტემბერი. (საკუთარი). „სალუტ-6“-„სოიუზ-31“ ორბიტული სამეცნიერო კომპლექსის ფრენის პროგრამის შესაბამისად დღეს განხორციელდა „სოიუზ-31“ კოსმოსური ხომალდის ხელახალი შეპირაპირების ტექნიკური ექსპერიმენტი.

როგორც ვიუწყებოდით, „სოიუზ-31“ კოსმოსური ხომალდი, რომელმაც ორბიტულ კომპლექსში მიიყვანა ვალერი ბიკოვსკი და ზიგმუნდ იენი, შეუპირაპირდა სადგურის საგრეგატე ნაკვეთურზე მდებარე შესაპირაპირებელ კვანძს. კომპლექსის გარდაქმნის ექსპერიმენტის დროს „სოიუზ-31“ ხომალდი ხელახლა შეუპირაპირდა სადგურის გადასასვლელი ნაკვეთურის შესაპირაპირებელ კვანძს.

ხომალდის ხელახალი შეპირაპირება შესრულდა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სათბობით, მოწყობილობითა და საჭირო ტვირთით პილოტირებული ორბიტული კომპლექსის მომარაგების სატრანსპორტო ოპერაციათა განხორციელების შესაძლებლობანი.

ხელახალი შეპირაპირებისათვის მზადების დროს ვლადიმერ კოვალიონოკმა და ალექსანდრე ივანჩენკოვმა შეამოწმეს ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები და შეიტანეს [illegible] „სოიუზ-31“ ხომალდზე [illegible] ლუკი.

13 საათსა და 38 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-31“-ის [illegible] ორბიტული სადგური განპირაპირდნენ.

დასახულ დროს სადგურსა და ხომალდში ნორმალურ ურთიერთძიებისა და დაახლოების სისტემები, რის შემდეგ „სალუტ-6“ ორბიტული სადგური შემობრუნდა. მერე განხორციელდა „სოიუზ-31“ ხომალდის სადგურის გადასასვლელ ნაკვეთურზე მდებარე შესაპირაპირებელ კვანძთან შედგომა და შეპირაპირება.

შესაპირაპირებელი კვანძის ჰერმეტულობის შემოწმების დროს კოსმონავტებმა გააღეს ლუკი და სადგურში გადავიდნენ.

ორბიტაზე მანევრირებისა და შეპირაპირების ყველა ეტაპზე სადგურისა და ხომალდის საბორტო სისტემები საიმედოდ მუშაობდა.

კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი განაგრძობენ ფრენის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას.

10 სექტემბერს—ყველანი კვირაობაზე

ჩვენი დამკვრელური შრომა—სამშობლოს!

ღირსეული საჩუქრებით—სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს

კვირას, 10 სექტემბერს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დამკვრელური შრომის დღეა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გუშინ გამოქვეყნებული დადგენილება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის მეათე ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევარში შესრულების შესახებ, რესპუბლიკის ყველა მშრომელს რაზმავს, რათა გაზარდონ თავიანთი წვლილი ხუთწლედის მეხამე წლის დავალებათა შესრულებაში.

ვინც თავი იხსახელა

წლითიწლობით იზრდება ღორების ხულადობა ხობის რაიონის ახალსოფლის ხაბჭოთა მეურნეობა-რეპროდუქტორში. მეურნეობის მშრომელები იღებენ საუკეთესო ნამატს, რომელიც მიმდინარე წლის დამლევისათვის 7.100 გოჯს შეადგენს.

თითოეულ ქუაზე 14 გოჯს იღებს მოწინავე მეცხოველე ნანა ლურხმანაშვილი, რომელმაც შვიდი თვის მანძილზე უკვე მიიღო 360 სული გოჯი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 345 სულისა. ეს მაღალნაყოფიერი შრომის, გოჯების კარგი მოვლის შედეგია.

სურათზე: ახალსოფლის მეღორეობის ხაბჭოთა მეურნეობა-რეპროდუქტორის მოწინავე მეცხოველე ნანა ლურხმანაშვილი.

ბ. ბიბაევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კაზრიოჯული თაოსნობა

ეკვე ორი წელიწადია, რაც საქართველოს ხახალხო მეურნეობის ყველა დარგში სულ უფრო ფართოვდება შეჯიბრება დევიზით — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით“, რომელიც რუსთაველმა მეტალურგებმა წამოიწყეს და ქალაქ ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელებმა განავითარეს. სანიმუშო დისციპლინის განმტკიცებისათვის, პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, მუშაობის საერთო ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, საწარმოო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების უსოო შესრულებისათვის გაჩაღებულ ამ ლაშქრობას დიდი შედეგი მოჰყვა.

ჩვენი ხალხის პატრიოტული აქტიურობა, შრომითი თაოსნობა და პირადი ინიციატივა გახდა ამის ხაფუძველი, რომ მკვეთრი ძვრები იგრძნობა ხახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, მტკიცე გარანტია შეექმნა ხკკ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების და მეათე ხუთწლედის ამოცანების შესრულებას.

რეხპუბლიკის მრეწველობა ხტაბილურად, მზარდი ტემპით ვითარდება. ათვისებულია ასობით დახახელების ახალ ხახეობათა პროდუქციის წარმოება, გადიდდა ფონდუკუგება, ხწორდება მდგომარეობა კაპიტალურ მშენებლობაში; გაიზარდა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობა; თანმიმდევრულად ხორციელდება პარტიის აგრარული პოლიტიკა; გრძელდება ხასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, სპეციალიზაციის გაღრმავება და კონცენტრაციის ამაღლება; გარკვეული მიღწევებია აგრეთვე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საქონელბრუნვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და ხახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

დღეს უკვე ცხადზე ცხადია, რომ საქართველოს მშრომელთა ამ წარმატებას, ასეთ პოლიტიკურ აქტიურობას და მათს დაინტერესებას, რომ ფართო მონაწილეობა მიიღონ ხაერთო-ხახალხო საქმეში და რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ ჩვენ წინაშე დახახული საბრძოლო ამოცანების შესრულებაში, დიდად შეუწყო ხელი რეხპუბლიკის ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარმა დადებითმა ძვრებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა უკომპრომისო ღონისძიებებმა, რომ სანიმუშო ხახელმწიფოებრივი წესრიგი დამყარდეს ყველგან, ყველა უბანზე.

ხწორედ ასეთი პატრიოტულ-პოლიტიკური აქტიურობის კიდევ ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ის მნიშვნელოვანი თაოსნობა, რომელიც საქართველოს ხახალხო მეურნეობის ხხვადახხვა დარგის მოწინავე კოლექტივებმა და ცალკეულმა ნოვატორებმა ამ დღეებში გამოიჩინეს.

ემზადებიან რა ხსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, საქართველოს ბევრი დაწესებულების, ხაწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს 10 სექტემბერს მოაწყონ ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი კვირაობა. ახლა კისრულობენ დასვენების დღეს იშრომონ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, დამაზადონ საკვები, მონაწილეობა მიიღონ ქალაქების, დაბების, დასახლებული პუნქტების, სოფლების კეთილმოწყობაში, დაეხმარონ სოფლის მშრომელებს ხაშემოდგომო სამუშაოთა მოწყობაში, ტექნიკის შეკეთებაში.

„ხაშემოდგომო ხვნა ბომბავალი წლის პურეული მოხავლის უპირველესი პირობაა. სამწუხაროდ, ეს საქმე ჩვენთან ჩამორჩა, დრო კარ ითმენს. ამიტომ გუშინ სახელდახელოდ შეეკრიბეთ ჩვენი ბრიგადის პარტიული ჯგუფის წევრები და ერთხმად გადაწყვიტეთ ჩამორჩენილი სამუშაოების დასაწინაურებლად კვირა დღეც გამოვიყენოთ. 10 სექტემბერი ჩვენი მექანიზატორებისათვის დამკვრელური სამუშაო დღე იქნება“. — გვწერს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის საერაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მელიქიშვილი...

„ჩვენი კოლექტივი საერთო გეგმებს ასრულებს, მაგრამ გვყავს ჩამორჩენილი ხალენტე და სამღებრო უბნები, — სწერს რედაქციას თბილისის კამეოლური დართვის ფაბრიკის დირექტორი თ. ტატუნაშვილი. — პრესაში გამოქვეყნდა თუ არა ცნობა კვირაობის მოწყობის შესახებ, საჩქარო საამქროს მოწინავე ცვლამ, რომელსაც ოსტატი გ. კირთაძე ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა კვირას ჩამორჩენილ უბანს დაეხმარონ. ამ ცვლის თაოსნობას ხხვებმაც მიბაძეს“.

„კვირაობა დამკვრელური დღე იქნება, მას მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩამორჩენილთა დასაწინაურებლად და მიღწეულ ჩარმატებათა განსამტკიცებლად“. ასეთი საერთო მიზანი დაისახეს რუსთაველმა მეტალურგებმა, ქუთაისელმა ავტომშენებლებმა, ენგურელმა ჰიდრომშენებლებმა, ბათუმელმა მენავთობეებმა... ისინი კისრულობენ, რომ ყველა, როგორც ერთი, კვირადღეს თავის სამუშაო ადგილებზე გაატარებენ და წვლილს შეიტანენ მიმდინარე წლის გეგმების შესრულების საქმეში, ღირსეულად შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პირველ წლისთავს.

დიდია თაოსნობის ძალა, როცა იგი შეგნებულ, შინაგან მოთხოვნილებად ქცეულ შეჯიბრებას, მეგობრულ მეტოქეობას ავითარებს. ხწორედ ასეთ შეგნებულ მოძრაობად უნდა ჩაითვალოს ახალი შრომითი თაოსნობა, რომელიც ხწორედ იმ დროს მოგვევლინა, როცა პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის მეათე ხუთწლედის ორ წელიწად ნახევარში შესრულების შედეგებისა და მისი მეორე ნახევრის ამოცანების შესახებ“, რომელმაც მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, დისპროპორციებსა და გადაუჭრელ პრობლემებზე გაამახვილა უურადღება და მათი დაძლევის გზები გვიჩვენა.

თაოსნობა კვირაობის მოწყობის შესახებ იმის ნათელი გამოვლინებაა, რომ საქართველოს მშრომელები მთელი პასუხისმგებლობით უდგებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახული დიდი ამოცანების შესრულებას, მზად არიან წარმატებით გადაჭრან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებები.

ყოველივე ეს გვავალებს მხარი დავუჭიროთ, ხაყოველთაოდ წავახალისოთ და გავავრცელოთ მოწინავეთა ეს პატრიოტული თაოსნობა. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, ხამეურნეო ორგანოების ვალია ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა შეუქმნან კვირაობის მონაწილეებს, უზრუნველყონ სათანადო ხელმძღვანელობა და ორგანიზებულობა, დროულად მოამზადონ სამუშაო ფრონტი, ახპარეზი მისცენ მშრომელთა დიდ ენთუზიაზმს.

„არაფერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ხაზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება. როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხდება ქცევის ყოველდღიური ნორმა“, — გვასწავლის ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

სწორედ ასეთი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, ხაზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების მაგალითია თაოსნობა, რომელიც საქართველოს მშრომელებმა გამოიჩინეს ხსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ღირსეულად შეხვედრისათვის.

გზა დაელოცოს ამ ახალ მოძრაობას, რომელიც ხაზოგადოებრივ ინტერესებამდე ამაღლებულ. შინაგან მოთხოვნილებად ქცეულ პატრიოტულ გრძნობას ემყარება და თანდათან ხდება თითოეული ადამიანის, ყოველი კოლექტივის ყოველდღიური საქმიანობის მეგზური.

კვირაობაზე — მეგობრებო! არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით, სანიმუშო ხახელმწიფოებრივი წესრიგი და მაღალი პასუხისმგებლობა ყველგან, ყველა უბანზე!

ინსტიტუტის წვლილი

რას ვფიქრობთ, რას გავაკეთებთ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხამთო მექანიკის ინსტიტუტმა გადაწყვიტა სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი მიძღვნილ კვირაობაზე, 10 სექტემბერს, დახმარება გაუწიოს მშენებლებს, რომლებიც ხამურთალში ამთავრებენ ინსტიტუტის ახალი კორპუსების კომპლექსის მშენებლობას.

ახალ კორპუსებში განლაგდება სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ექსპერიმენტების მოსაწყობი თანამედროვე ტექნიკით, საწარმოო სახელოსნოები, სადაც დამზადდება მეცნიერთა მიერ შემუშავებული სამთო მანქანებისა და მექანიზმების საცდელი ნიმუშები. თანამშრომელთა ნაწილი საცდელ სამუშაოთა სერიას მოაწყობს ინსტიტუტის ექსპერიმენტულ პოლიგონზე, რომელიც ქალაქ თბილისის მიდამოებში მდებარეობს.

— ხელმძღვანელობს რა ხკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, ინსტიტუტის კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა წარმატებით შეასრულოს ვადამდე მეათე ხუთწლედის მესამე წლის დაპბული გეგმა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ე. მინდელმა. — კერძოდ, ექსპერიმენტები, რომლებიც კვირაობის დროს მოეწყობა პოლიგონზე, დაგეგმარება ამ დიდმნიშვნელოვან ხამეშაოთა შესრულების ვადების შემცირებაში, რომელთა მიზანია აამაღლონ სამთო-მომპოვებელი კომპლექსების მთელ რიგ სისტემათა მოქმედების ეფექტიანობა. ამ მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრებით ღრმად არიან დაინტერესებული საქართველოს, ურალის, უკრაინის, ცომბრისა და შორეული აღმოსავლეთის მადარეულები. ინსტიტუტის თანამშრომელთა მეორე ნაწილი დასაკმებული იქნება ინსტიტუტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე.

ვინც თავი იხსახელა

ნ ლ ი თ ი წ ლ ო ბ ი თ იზრდება ღორების ხულადობა ხობის რაიონის ახალსოფლის ხაბჭოთა მეურნეობა-რეპროდუქტორში. მეურნეობის მშრომელები იღებენ საუკეთესო ნამატს, რომელიც მიმდინარე წლის დამლევისათვის 7.100 გოჯს შეადგენს.

თითოეულ ქუაზე 14 გოჯს იღებს მოწინავე მეცხოველე ნანა ლურხმანაშვილი, რომელმაც შვიდი თვის მანძილზე უკვე მიიღო 360 სული გოჯი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 345 სულისა. ეს მაღალნაყოფიერი შრომის, გოჯების კარგი მოვლის შედეგია.

სურათზე: ახალსოფლის მეღორეობის ხაბჭოთა მეურნეობა-რეპროდუქტორის მოწინავე მეცხოველე ნანა ლურხმანაშვილი.

ბ. ბიბაევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქუთაისელები—კვირაობა ხე

ქუთაისი. რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრის — ქუთაისის მშრომელებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს 10 სექტემბერს ორგანიზებულად გავიდნენ კვირაობაზე.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთელი რიგი საამქროებისა და ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოების კოლექტივები თვიანთ სამუშაო ადგილებზე შეასრულებენ სარემონტო სამუშაოებს.

კვირაობის მოწყობის გეგმები შედგენილია ელექტრომექანიკურ და სატრაქტორო ქარხნებში, ქალაქის სხვა დიდ საწარმოებში. ამ დღეს აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოში გადაწყვეტილი აქვთ გამოუშვან ათიათასობით მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

სოფლის მუშაობელთა მხარდამხარ

ბათუმი. (საკ. კორ.). ინიციატივას — მოაწყონ შრომითი კვირაობა — მხურვალედ დაუჭერეს მხარი აჭარის საწარმოებისა და მეურნეობების მშრომელებმა, რომლებმაც იგალდებულეს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სოფლად საშემოდგომო სამუშაოებში. ამ დღეს ათასობით მუშა, მოსაწყალური და მოსწავლე მხარში ამოუდგება სოფლის მშრომელებს. მაგალითად, შუახევის, ხულოს და ქედის მშრომელები მონაწილეობას მიიღებენ თამბაქოს აღებასა და პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში.

ქობულეთელ და ხელვაჩაურელ მეჩაიეებს და მეცხოველეებს რაიონის მუშა-მოსამსახურეებთან და მოსწავლეებთან ერთად დაეხმარებიან ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების მუშები. მაგალითად, მანქანთმაშენებელი ქარხნის 200 თანამშრომელი ქობულეთის რაიონში იმუშავებს მეცხოველეობისათვის საკვების აღებაზე. სამკერვალო ფაბრიკის მკერავები დაეხმარებიან სალიბაურელ მეჩაიეებს. კვირაობაზე ასევე მასობრივად გამოვლენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და სხვა საწარმოების კოლექტივები.

კონსტიტუციის მიღების წლისთავს — დამკვრელური შრომა! — ასეთია მათი დევიზი.

მ. გორგილაძე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჟოდორ ჟივკოვს

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ სტანკო �

ძვირფასო ამხანაგებო!

ეროვნული დღესასწაულის — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩვენი სახელით მხურვალე გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და მთელ მომძე ბულგარელ ხალხს.

ბულგარეთის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ბულგარელი ხალხის ცხოვრების ძირეულ შემობრუნებას, დაიწყო ბულგარეთის სახელმწიფოს ისტორიის ახალი ერა — სოციალიზმის ერა.

გზა, რომელიც ბულგარეთმა განვლო 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ, — ეს არის ხაზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში დიდი წარმატებების გზა. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მიღწევები ყველა მისი მეგობრის კანონიერი სიამაყისა და უდიდესი პატივისცემის გრძნობას იწვევს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა თავისი თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკით. პოზიტიური წვლილი შეიტანა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფო და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი, აქტიურ ინტერნაციონალისტურ ხასიათისა სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და ძლიერების განმტკიცებისათვის.

კომუნისტები, ყველა ხაბჭოთა ადამიანი დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ამ პრინციპული კურსის განხორციელებაში მიღწეულ წარმატებებს, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ხაბჭოთა და ბულგარელი ხალხების ყოვლისმხრივი თანამშრომლობა და შემდგომი დაახლოება. ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ და სრულყონ ჩვენი პარტიების, ხალხებისა და ხელმწიფოებისა და ხალხების გულითადი ძმური მეგობრობა. ეს გულწრფელი ურთიერთობა შეეხმიანება ჩვენი ხალხების ხაარსებო ინტერესებს და მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

თქვენთან ერთად აღვნიშნავთ რა, ძვირფასო მეგობრებო, ბულგარეთის ნათელ დღესასწაულს — თავისუფლების დღეს, სულითა და გულით გიხურავთ თქვენ, მთელ მომძე ბულგარელ ხალხს შემდგომ წარმატებებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

დიე განმტკიცდეს და განვითარდეს ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის ძმური კავშირი!

გაუმარჯოს ხაბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!

ლ. ბრეჟნევი. ა. კოსიგინი.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ამხანაგ ლი დენ ოკს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საბჭოს, მთელ კორეელ ხალხს, აგრეთვე პირადად თქვენ ძმურად მოგესალმებით და გულითადად გილოცავთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავს.

1948 წლის სექტემბერში კორეის მიწა-წყალზე პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაბადება ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის კორეელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის დამნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო.

შრომის პარტიის ხელმძღვანელობით კორეელმა ხალხმა ძირეული რევოლუციური გარდაქმნები განახორციელა, რომელთა შედეგად წინათ ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყანა მტკიცედ დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. ახლა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ახორციელებენ კორეის შრომის პარტიის V ყრილობის გადაწყვეტილებებს, წარმატებით ასრულებენ მეორე შვიდწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოცანებს.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ ჩვენი სახელმწიფოების, პარტიებისა და ხალხების ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას, რომელიც იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, აგრესიისა და ომის ძალების წინააღმდეგ, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ერთობლივი ბრძოლის დროს იშვა და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კიდევ მეტად განავითარონ ეს მეგობრობა და თანამშრომლობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. საბჭოთა ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის იმ მოთხოვნას, რომ ამერიკამ გაიყვანოს ჯარები სამხრეთ კორეიდან და ხელსაყრელი პირობები შეექმნას კორეის დამოუკიდებელი მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევას.

თქვენთან ერთად აღვნიშნავთ რა დღეს ღირსსახსოვარ თარიღს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავს, სულითა და გულით ვუსურვებთ კორეის შრომის პარტიას, მთელ კორეელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დიე განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობა!

ლ. ბრეჟნევი. ა. კოსიგინი.

მამულის დიდება, ხალხის სიამაყე

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო

ედამიანის გენიის უბრწყინვალეს გამოვლინებებს ეკუთვნის ლ. ტოლსტოის შემოქმედება. მის წიგნებში, რომლებიც ჩვენი სულიერი ცხოვრების გაუუყოფელი ნაწილი გახდა, არაჩვეულებრივი სიღრმითა და მხატვრული ძალით არის აღბეჭდილი ხალხის ცხოვრების ფართო პანორამა.

„...ჩემი უდიდესი სურვილი, ჩემი გულისთქმაა, — ამბობდა ლ. ნ. ტოლსტოი, — მკითხველად მყავდეს ზღვა ხალხი, მუშაკაცი, მშრომელი ადამიანი, და მის სამსჯავროზე გავიტანო ჩემი აზრები“. ახდა გენიალური ხელოვანის ოცნება. მისმა ნაწარმოებებმა, რომლებიც მაღალი ჰუმანისტური იდეებით არის გამსჭვალული, ღირსეულად გაუძლეს შთამომავალთა სამსჯავროს. დიდსტატის მკითხველთა აუდიტორია, მისადამი ხალხის სიყვარული ეკუმშარიტად უსაზღვროა. ეს უდიდესი შთამბეჭდავი ძალთა ცხადყო სათუბილეო ზეიმობის მასშტაბმა. 8 სექტემბერს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა დიდი მწერლის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო.

სადღესასწაულოდ მორთული სცენის სიღრმეში მოჩანს ლევ ტოლსტოის პორტრეტი.

სალამოს მონაწილეობენ მეკუბარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ვ. ვ. გროშინს, ა. ა. გრომეკოს, ა. ნ. კოსიგინს, მ. ა. სუსლოვს, დ. ფ. უსტინოვს, პ. ნ. დემიჩევს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაპიტონოვს, ნ. ვ. ზიმიანინს. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე საკავშირო საუბილეო კომიტეტის წევრები, საბჭოთა მწერლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

საზეიმო სალამო გახსნა სრულიად საკავშირო საუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა.

გენიალური მწერლის დაბადების 150-ე წლისთავის დღესასწაულობამ, რომელიც გაზაფხულის წყალდიდობასავით მოედო მთელ ქვეყანას, თქვა მან, კიდევ ერთხელ ცხადყო: ტოლსტოის გმირობა უკვდავია, მისი დიდება უსაზღვროა, ტოლსტოისადმი ხალხის სიყვარული განუზომელია.

ლევ ტოლსტოი იყო და არის რუსი ერის მოელვარე მწვერვალი, ყველა საბჭოთა ადამიანის სიამაყე. ეს უბადლო მასშტაბის მწერალი, მხატვრული სიტყვის უჭკნობი შედევრების შემქმნელი თავისი ბობოქარი ენერგიით ხელს უწყობდა ჩვენი საშობოლოს სოციალურ პროგრესს, დამონებისა და ექსპლოატაციის სამყაროს მსხვრევას, ხალხთა მასების გოლიათური აღმშენებლობითი ძალების გაღვიძებას, სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანურობის, ადამიანურ ბედნიერებისა და ადამიანურ ბედნიერებისა და ადამიანურ ბედნიერებისა ... ეს ... ეს ... ეს

მამულის დიდება, ხალხის სიამაყე



(დასასრული)

ნობის გამარჯვებას, საზოგადოების სულიერ განახლებას. ეს იყო ბუმბერაზი, რომლის ერთმა ადამიანურმა სიცოცხლემ მთელი სამყაროო დაიტია.

როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „ლ. ტოლსტოიმ შეძლო თავის ნაშრომებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხი, შეძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძალიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“.

ტოლსტოი ვერ მოესწრო რევოლუციური ძვრების დღეებს, მაგრამ მუშათა კლასმა და მისმა ლენინურმა პარტიამ დიდად დაიფასეს მისი ლიტერატურული მეკვიდრეობა. ყველაფერი, რაც ამ მემკვიდრეობაში მომავალს ეკუთვნის, სრულად იქნა გამოყენებული მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ახალი სოციალისტური წყობილების მშენებლობის ინტერესებისათვის. რაოდენ ფართოც უნდა ყოფილიყო ტოლსტოის პოპულარობა მეფის რუსეთში, ლევ ტოლსტოის წიგნები ჭეშმარიტად ხალხის კუთვნილება გახდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების წლებში, როცა ჩვენი სამშობლო მთლიანი წიგნიერების ქვეყანად იქცა.

ახლა მწერლის სანუკვარი ოცნება, — განაგრძო ორატორმა, — ეკუთვნოდეს ხალხს და მილიონობით უბრალო ადამიანთან ერთად, რომლებიც თავიანთ მშობელ მიწას ამუშავებენ ქვეყნად სიცოცხლის გულისათვის, ქმნიდე ყოფიერების სიხარულს, სრულყოფდე ადამიანის სულიერ სამყაროს, უღვიძებდე მას სინდისს, უნერგავდე კეთილშობილებას, ამკვიდრებდე ძმობის გრძნობას.

დღეს საბჭოთა ხალხთან ერთად ტოლსტოის სახელს მოწიწებითა და მადლიერებით წარმოთქვამენ ყველა კონტინენტის პროგრესული ადამიანები.

ლევ ტოლსტოიზე გულშიჩამწვდომი და ამაღელვებელი სიტყვები თქვა 1977 წლის 17 იანვარს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა. „ისანია პოლიანაში ყოფნისას, — ჩაწერა მან მუზეუმ-კარმიდამოს სპეციალურ დამთვალიერებელთა წიგნში, — სუნთქავ გეკვრის — ამ ცხოვრობდა და იღვწოდა უდიდესი რუსი მწერალი, მსოფლიო კულტურის გენია, რომლის ნაწარმოებები ახალ-ახალ თაობათა სიბრძნის წყაროდ დარჩება. ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებში სრულად და ფართოდ ისახა რუსი ხალხის ხასიათი. ისინი გამსჭვალულია აზრით ისტორიაში ხალხის ძალების გადამწყვეტი როლის შესახებ, ადამიანსა და მშობელ მიწას შორის განუყრელი კავშირის შესახებ“. „ომისა და მშვიდობის“ გმირებს საბჭოთა ადამიანებისაგან საუკუნე-ნახევარი აშორებს. მაგრამ მათ ახლოვდებს პატრიოტიზმისა და გმირობის მაღალი გრძნობები, ერთი და იგივე სიმართლისა და სამართლიანობის სულისკვეთება, სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვა“.

სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს, აგრეთვე საღამოს ყველა მონაწილის სახელით გ. მ. მარკოვი გულითადად მიესალმა საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ მწერლებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს — მსოფლიოს 17 ქვეყნის წარმომადგენლებს.

მოხსენება „ლევ ტოლსტოი და თანამედროვეობა“ გააკეთა ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. პ. ბერდნიკოვმა.

არის რაღაც ისტორიულად ნიშანდობლივი დღევანდელ საზეიმო სხდომაზე, თქვა მან. გავიხსენოთ: სულ სამოცდაათიოდე წლის წინ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ტოლსტოის ქმნილებებს იცნობს მხოლოდ რუსი ხალხის უმცირესობა, რადგან უმრავლესობის ხელი იყო სიღატაკე და უწიგნურობა. ლენინს სწამდა, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლოს მოუღებდა მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია. დღეს ჩვენ ამის მომსწრენი ვართ, რომ ახლა ლენინის წინასწარმეტყველება. ტოლსტოის მემკვიდრეობა ახლა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მწერლის შემოქმედებითი გზა, მისი დიადი მიღწევები განუმეორებელია. მხატვრული პროზის ყველა ჟანრის ეს ნამდვილი ნოვატორი იყო აგრეთვე დიდი დრამატურგი, უბადლო პუბლიცისტი, ესთეტიკისა და ფილოსოფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე შრომების ავტორი. ტოლსტოი მსოფლიო აღიარებას სიცოცხლეშიგი მოესწრო. სტატიაში, რომელიც 1910 წელს ნოემბრის სამგლოვიარო დღეებში გამოქვეყნდა, ვ. ი. ლენინი წერდა: „გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი. მისი მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც მხატვრისა, მისი მსოფლიო სახელი, როგორც მოაზროვნისა და მქადაგებლისა, ერთიც და მეორეც ასახავს. თავისებურად, რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობას“.

იმ დღეებისა და შეხედულებების თანმიმდევრულმა გამოხატულებამ, რომლებიც მილიონობით რუს გლეხს გამოუმუშავდა რუსეთში პირველი რევოლუციის შეტევის დროისათვის, ეპოქის სიღრმეს ასახავს ისტორიული პროცესების გენიალურმა ასახვამ განსაზღვრეს დიდი ხელოვანის ქმნილებათა ფიდეესი ძალა, მისცეს მას შესაძლებლობა აღიქვა თავისი ნაწარმოებებით მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საკითხები.

ტოლსტოის თქმით, როცა „ომსა და მშვიდობაზე“ მუშაობდა, მას აღელვებდა და შთაგონებდა „ხმა ერისა“. შექმნა რა 1812 წლის სამამულო ომის გრანდიოზული პანორამა, ტოლსტოიმ შთამბეჭდავად გვიჩვენა ხალხთა მასების გადამწყვეტი ისტორიული როლი. რომან-ეპოპეის ეს მთავარი იდეა ბაზგასმით აღნიშნა ტეტლში წარმოთქმულ სიტყვაში ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა. „...აზრი იმის შესახებ, — თქვა მან, — რომ საბოლოო ანგარიშით ხალხი, მასები წყვეტენ ისტორიის ძირეულ საკითხებს, განსაზღვრავენ სახელმწიფოების ბედსა და ომების შედეგებს, — ეს ღრმა აზრი, როგორც ყოველთვის, დღესაც სწორია“.

მწერლის მიერ კრძომესაკუთრული წყობილებისა და სოციალური უთანასწორობის კატეგორიული უარყოფა თავისი არსით სოციალისტური იყო. სოციალისტური იყო არსებითად აგრეთვე ტოლსტოის იერნება ახალ ხაზოგადოებრივ წყობილებაზე. ეს იქნება „სიცოცხლის წყობილება, — ამტკიცებდა ტოლსტოი, — რომლის დროსაც შეიღლა, ფლიდობასა და ძალადობას, ახლა რომ არის გამეფებული, შეცვლის თავისუფალი თანხმობა, სიმართლე და ადამიანთა ძმური სიყვარული...“

მაგრამ ტოლსტოიმ ასახა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის არა მარტო ძლიერი, არამედ სუსტი მხარეებიც. ტოლსტოი ცალმეა მართალია, როცა კერძომესაკუთრულ წყობილებას აკრიტიკებს, როცა პუმანისტურ იდეალებს ამკვიდრებს, მაგრამ მისი წარმოდგენა სინამდვილის შეცვლის გზების შესახებ უტოპიური იყო. ის, რატომ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი ხაზგასმით, რომ ტოლსტოის ნაწარმოებთა შესწავლით „რუსმა ხალხმა... უნდა გაიგოს, რაში მდგომარეობდა მისი ხაუთარი სისუსტე, რამაც მას საშუალება არ მიცა ბოლომდე მიეყვანა თავისი განთავისუფლების საქმე. ეს საჭიროა გავიგოთ იმისათვის, რომ წინ ვიაროთ“.

და ჩვენმა ხალხმა შეასრულა ლენინის ეს ანდერძი, თქვა მომხსენებელმა, ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გვიჩვენა, რა სწრაფად და ღრმად აითვისა მან ისტორიის გაკვეთილები.

სამართლიან საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის დიადი საკითხები, რომლებიც ტოლსტოიმ აღძრა, თანამედროვე მსოფლიოშიც ინარჩუნებს აქტუალურ მნიშვნელობას.

ტოლსტოის შემოქმედებითი მემკვიდრეობის არსებითს ნაწილს, თქვა შემდეგ გ. პ. ბერდნიკოვმა, მისი ზნეობრივი ძიება შეადგენს. ამ ძიებაში ჩვენთვის ბევრი რამ უაღრესად ძვირფასია. ჩვენი ზნეობა ცარიელ ადგილას არ იქმნებოდა. და ამ სფეროში სოციალიზმი იღებს და შემოქმედებითად ათვისებს წარსულის პროგრესულ დემოკრატიულ მემკვიდრეობას. ეს ტოლსტოის ზნეობრივი მოძღვრების საუკეთესო მხარეებსაც შეეხება.

ტოლსტოიმ კაცობრიობას უძღვნა მისი გენიალი შობილი უზარმაზარი, მშვენიერი, ცოცხალი და მთრთოლვარე სამყარო. იმაო, ვინც კი ამ ხელოვნურ სამყაროს სწვევია, უკვე ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ არ იცნობდნენ ნატაშა როსტოვას ან ჰაჯი მურატს, ანა კარენინას ან ანდრეი ბოლკონსკის, ნიკოლენკა ირტენიევს ან პიერ ბეზუხოვს, ანდა ადამიანთა გრძნობების იმ უკიდეგანო ზღვას, რომლითაც აღსავსეა ეს სამყარო, ბგერათა, ფერთა, სურნელებათა ჯადოსნურ, ზღაპრულად მშვენიერ სამეფოს — ჩვენი დედამიწის მჩქეფარე სიცოცხლეს, რომელიც ამ სამეფოში ორგანულად შერწყმია ადამიანის სულიერ სამყაროს.

დღეს, როცა პატივს მივაგებთ დიდ მწერალს, ჩვენ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურაში ამ საოცარმა კაცმა, როგორ გაამდიდრა თითოეულმა ჩვენგანის სულიერი სამყარო.

ტრიბუნაზეა ბულგარელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **პანტელეიმონ ზარევი.**

ჩვენ ბულგარეთში, თქვა პ. ზარევმა, დიდად გვიყვარს და უაღრესად ვაფასებთ ლ. ნ. ტოლსტოის როგორც შემოქმედსა და მაღალზნეობრივ პიროვნებას, როგორც ხელოვანს და მოაზროვნეს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი გაშენებისათვისაც. დიდმა რუსმა მწერალმა უნებლიედ გამოაცოცხლა მთელი სოციალური მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში, პოეტ ჩვენში ბევრი მომხრე და თაყვანისმცემელი.

ახლა განაგრძო ორატორმა, როცა გაისმის ყურისწამღები ლაქანა და მოწოდებები შეიარაღებისათვის, ახალი ციკი ომისათვის, როცა მსოფლიო კულტურას სრული მოსპობის საფრთხე ემუქრება, აქ, ამ დარბაზში, და შორს მის ფარგლებს გარეთ ისმის კულტურისა და ადამიანობის ბრძნული და შთაგონებული სიდიდეები. დიდება ლევ ტოლსტოის, დიდება რუს ხალხს. დიდება საბჭოთა ქვეშრის ხალხებს. რომლებმაც თავიანთ გულში, ისევე როგორც ჩვენ, სიყვარულია და მოწიწების ძალა აიგეს ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის გენიას, ადამიანს, რომელსაც, ლენინის თქმით, ბადალი არ ჰყავს.

სიტყვა ეძლევა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს. ორგანიზატორ ეწერალს **ალფრედო ვარელას.**

ტოლსტოი მუდამ ჩვენთან არის, თქვა მან. მისმა შემოქმედებამ ადამიანდერა თითოეული ჩვენგანი, გაამდიდრა მსოფლიო კულტურა. ამ ცოტა ხნის წინათ პატარა ქალაქგარე სასაფლაოს ეწვევე, სადაც მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მებრძოლები განიავნებენ. ისინი დაიღუპნენ, რათა ბოლო მოეღოთ ომისათვის. საერთოდ ყველა ომისათვის, შესაძლებელი გაეხადათ ნათელი, მშვიდობიანი მომავალი. ამ სასაფლაოზე ერთხელ კიდევ ვამახსენდა ტოლსტოი, ის გენიტი, რომლის შემოქმედებაც დღესაც შეაქს ფენს ადამიანთა ცხოვრებას, ეხმარება მათ ღირსეულნი და ზნეობრივად მაღალნი იყვნენ. ასე მგონია, მისი ხმა მესმის-მეთქი, ხმა, რომელიც ნაპოლეონის შემოსევის შესახებ ეპიკურ საგაში ამტკიცებს. ომს ადამიანის არსება ვერ ურიგდებიო.

ომის საწინააღმდეგო თემა ერთ-ერთი მთავარია ტოლსტოის შემოქმედებაში. მის მიერ დათესილმა კარგად იხარა.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის სახელით, თქვა დასასრულ ორატორმა, უდიდესი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო დიდი ტოლსტოი, რომლის ანდერძიც შეასრულა მის გენიალურ სულისკვეთებას, მის სიცოცხლის, სამართლიანობის, მშვიდობის წყურვილს.

როცა მოსწავლე ვიყავი, თქვა ინდოელთის ლიტერატურის ერთ-ერთმა ავადმყოფი პრეზიდენტმა **უმაშანკარ ჯოშიმ,** ხელი ჩამეკარდა წიგნი, რომელსაც „მაჰატმა ტოლსტოი“ — „ტოლსტოი. დიდი ადამიანი“ ერქვა. ინდოეთში ტოლსტოის ხშირად უწოდებენ მაჰატმას. ეს სპეციალი სახელი პირველად ‘ამას უწოდა განდიმ, რომელიც თავს ტოლსტოის „ერთგულ მოწაფედ“ თვლიდა.

„ომი და მშვიდობა“ ინდოელებს მოაგონებს დიდ ინდურ ეპიკურ პოემას „მაჰაბჰარატას“, რომელიც ომზე მოგვითხრობს, მაგრამ ცნობილ „მშვიდობის წიგნსაც“ შეიცავს.

ტოლსტოიმ შეიძულა ომი, როგორც კი უშუალოდ წააწყდა მის რეალობას. მას არ შეეძლო მისთვის ჩვეული გულწრფელობითა და გაბედულად არ გამოეთქვა აზრი მის წინააღმდეგ და ასე მიიტანა ეს ბრძოლა მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, რომლის მოწმე ტოლსტოი აღარ გამხდარა. ჭეშმარიტების უკომპრომისო მაძიებელი დიდი მწერალი ცდილობდა განთავისუფლებულიყო ყოველგვარი სიცრუეს, სიყალბისა და უსამართლობისაგან. მას სწამდა, რომ კაცობრიობისათვის დადგებოდა ადამიანებისადმი სიყვარულით აღსავსე ცხოვრება. ეს რწმენა და ბრძოლა ტოლსტოის დიდი დამსახურებაა.

ჩვენ, ტუელები, უზომოდ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ მიწაზე, რომელმაც მსოფლიოს ტოლსტოი მისცა, თქვა სკკპ ტულის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ხ. იუნაკმა.** ვამაყობთ, რომ პარტიამ, სამშობლომ, ხალხმა მოგვანდეს ინსაია პოლიანას დაცვა. თითქმის ექვსი ათეული წელია იგი ხელუხლებელი რჩება, როგორც მოითხოვდა ამას საბჭოთა ხელისუფლების გარიერაჟზე მიღებული სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილება, რომელსაც დიდმა ლენინმა გაუკეთა რედაქცია.

ჩვენი, ახლანდელი თაობის ფიქრებს დიდად ეხმიანება ტოლსტოის მიერ გამოთქმული მშვიდობის გამარჯვების იმედები, მისი რწმენა, რომ მშვიდობის საქმეს ხალხის მასები აიღებენ ხელში. ამ გამარჯვების რწმენით, ოქტომბრის ყოველგვარი ხრიკების მიუხედავად მისი მიღწევისადმი მისწრაფებით აარის გამსჭვალული ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის — მშვიდობის გამოჩენილი მებრძოლის მთელი საქმიანობა.

დიდი სადღესასწაულო კონცერტის დროს, რომელიც საზეიმო საღამოს დასასრულს გაიმართა, სცენაზე თითქოს გაცოცხლდნენ ლ. ნ. ტოლსტოის გმირები. ნაჩვენები იყო ფრაგმენტები დიდი მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი დრამატული, სიმღერო, სამალეტო სპექტაკლებიდან, სიტყვის ოსტატებმა წაიკითხეს ნაწყვეტები მისი თხზულებებიდან.

საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

ტულაში გაიმართა რუსეთის უკვდავი შვილის იუბილესადმი მიძღვნილი მშრომელთა საერთოსაქალაქო მიტინგი.

---

8 სექტემბერს საბჭოთა მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულმა საზღვარგარეთელმა სტუმრებმა ყვავილებთან შეამკეს დიდი მწერლის ძეგლი მოსკოვში.

(საკდესი).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ:

პასუხისმგებლობის გრძნობა

საამქრო პარტიული ორგანიზაცია ხარისხიანათვის ბრძოლაში.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ დაწყებამდე პარტორგანიზაციის მდივანთან ერთად საამქროს ვეებერთელა დარბაზები დავათვალიერეთ. გვინდოდა გავცნობოდით სიმონიშვილისა და სხვა მოწინავე ბრიგადების წევრებს, რომელთა ხელში ასობით დეტალი მანქანის დასრულებელ სახეს იღებს და კონვეიერიდან ჩამოდის როგორც ცოცხალი, ჭკვიანი მანქანა.

